მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ქალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

მუშა

	1 წ.	6 თ.		3 თ.		1 თ.	
	მ.	მ.	კ.	ძ.	კ.	მ.	კ.
თბილისში.	5	2	50	1	25	—	50
თბილ. გარ.	6	3	—	2	—	—	60
სახდ. გარ.	10	5	—	3	50	1	—

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ადრესი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

1) მეორე პასუხი მუშებს. 2) ფელეტონი: — მოკლე სისტემა ანარქიზმისა. 3) ბრალსა ვნდებთ. 4) კორესპონდენცია. 5) რუსეთის ქრონიკა. 6) უცხოეთი. 7) ახალი ამბები. 8) დეპეშები.

№ 12 პეირა 18 ივნისი 1906 წ. თბილისი № 12

2. პასუხი მუშებს.

(გაგრძელება)*).

შეიძლება ის გეჩვენებოდეთ არაჩვეულებრივად და საკვირველად, მუშებო, რომ ჩვენ ანარქისტებს „პროგრამმა მინიმუმი არა გვაქვს?". ყველა ეგრედ წოდებული სოციალისტურ პარტიებს ხომ ამითი მოაქვთ ეხლა თავი, ამითი ჰხატავენ თავიანთი პოლიტიკის სიბრძნესა, და ანარქისტებს კი უტოპისტებად ჰნათლავენ,—ამ პროგრამმა მინიმუმის უქონლობის გამო?

მაშ თუ ასეა,—ამაზედაც მოვილაპარაკოთ და ვნახოთ, რა უპირატესობა აქვს პროგრამმა მინიმუმით აღჭურვილ „სოციალისტ"-ს „უტოპისტ" ანარქისტის წინაშე. შეიძლება უპირატესობის მაგიერ სხვა რამ აღმოვაჩინოთ ამ შედარებაში.

რა არის ,,პროგრამმა მინიმუმი?''.—სოც.-დ—ებს და სხვა ,,მინიმალისტებს'', რომ ჰკითხოთ, პროგრამმა მინიმუმი სწორედ მათი ჭკუის მაჩვენებელია: როგორც მეცნიერთ, მათ ძლიერ კარგად ესმით მთელი სოციალური განვითარების დედა-აზრი, აგრეთვე განვლილი და გასავლელი გზა საზოგადოებისა მათ ნათლად, ცხადად აქვთ გათვალისწუნებული და ამიტომაც მათ დანამდვილებით, თითქმის ანგარიშით იციან თუ რა მოხდება, ან რა უნდა მოხდეს თანამედროვე ისტორიულ მომენტში და ამ ცოდნის, ამ ანგარიშის შესაფერად იქცევიან, ამ სინამდვილეზედ ამყარებენ თავიანთ პოლიტიკას, თავიანთ მოქმედებას. სხვა, ევროპიელნი გამამგონებელნი, რომ არ მოვიხსენიოთ პროგრამმა მინიმუმისა (მაგალითად პოლბრუსსი საფრანგეთში), მოვიგონოთ თქვენი ,,წინამძღოლი'' მარტოვი, თავისი კომპანიით, რომელნიც გულგრილად ამტკიცებენ რუსეთის რევოლიუციის რამოდენიმე თვის წინად, რომ რუსეთში პროლეტარიატი ეხლა ისე განვითარდა, რომ შესაძლებელია ბურჟუაზიული რევოლიუციაო; რუსეთში პროლეტარიატმა ბურჟუაზიული რევოლიუცია უნდა მოახდინოსო. აი ამ წინდაწინვე რევოლუციის ანგარიშზედ ამყარებენ ისინი თავიანთ პროგრამმა მინიმუმს: ჯერ ერთი რევოლიუცია—დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად, პოლიტიკის თავისუფლებათა მოსაპოვებლად, შემდეგ მეორე რევოლიუცია, სოციალური რევოლიუცია, რომელსაც უნდა მოჰყვეს პროლეტარიატის განთავისუფლებაო. ორივე რევოლიუცია პროლეტარებმა უნდა მოახდინონ, ერთი ბურჟუაზიისათვის, მეორე კი თავისთვისა და მთელი კაცობრიობისათვისო. და სწორედ ამისთვისა ვართ ასეთი მტერნი, დაუძინებელნი მტერნი ყოველივე პროგრამმა მინიმუმისა. როგორ! საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, რომელნიც მუშებმა და გლეხებმა მოახდინეს და ბურჟუაზიამ მხოლოდ ისარგებლა ამ რევოლიუციით და ისევ დააწვა ხალხს მძიმე ლოდივით მაშვრალ გულზედ,—განა ეს ჩვენთვის დიდი ისტორიული გაკვეთილი არ არის? მთელი ბურჟუაზია და მასთან ს.-დ-ია გაიძახის, რომ დიდი რევოლუცია საფრანგეთში ბურჟუაზიამ მოახდინაო. ეს ისტორიული სიცრუეა საფრანგეთში რომ 1886 წლიდან 1879 წლამდე გლეხებს არ ეწვათ და ებუგათ მემამულეებისა და მონასტრების მამულები, მუშები რომ ყოველ დიდ ქალაქებში არ აჯანყებულიყვნენ ხოლმე,—განა 1789 წ. დიდი რევოლიუციის ზღვა წაჰლეკავდა საფრანგეთის თვითმპყრობელ მონარქიას? თავის დღეშიდაც არა!—1789—1793 წლებამდე რომ ბურჟუაზიული რეაქციისაგან ხალხს არ ეხსნა ხოლმე რევოლიუცია, განა იგი მოიგებდა იმ მცირე რამეც რაც მოიგო?—ათასჯერ არა! და რომ ხალხს ბოლოს და ბოლოს რევოლიუციონური ძალა და შემოქმედება არ გამოლეოდა ბურჟუაზიასთან, ბურჟუაზიულ პარტიებთან და მათ ათასგვარ სიცრუებთან ბრძოლაში, განა იგი განიცდიდა იმდენ დამარცხებას, განა იგი ისევ ბურჟუაზიას ჩაუგდებდა ხელში ბატონობას, და რესპუბლიკის ფორმით, რომელიც მალე ნაპოლეონის იმპერიამ შთანთქა, ახალი სისტემის მონობას დაიმყარებდა, სადაც მუშებს შეკავშირების უფლებაც არა ჰქონდათ 1791 წლის კანონით, რომელიც გაიყვანა დამფუძნებელმა კრებამ? ათასჯერ და ათი ათასჯერ არა!—პირ იქით,—ყველა ეს დიდი მაგალითები თანამედროვე რევოლუციაში მებრძოლ მუშა ხალხისათვის, რომ არ მოსტყუვდეს ,,მინიმუმებითა" ტ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ნახოს რევოლიუციით, რომელსაც მაშინ მშრომელი ხალხი ახდენს, და არა ბურჟუაზია, არა დუმაში მოლაპარაკე დეპუტატები და ეგრედ წოდებულ პოლიტიკის პარტიათა „წინამძღოლნი''. მოიგონეთ მეორე დიდი რევოლუცია საფრანგეთისა,—რევოლიუცია 1848 წლისა. აქაც მოიწვიეს დამფუძნებელი კრება იმგვარათ, როგორც თქვენ ს. დ-ებს უწერიათ პროგრამაში. კრებაში მონაწილეობას იღებდენ სოციალისტებიც, რომლებიც მართალი გითხრათ, არც ჭკუითა და არც სინდისით თქვენ წარმომადგენლებს არა ჰგვანდენ. იყვნენაგრეთვე დემოკრატები, ყოვლად პატიოსანი და ჭკვიანი ხალხი, როგორიც იყო მაგალითად, ლედრიუ როლლენი. ეს უკანასკნელი აგრეთვე საუკეთესო თეორეტიკოსი და ორგანიზატორი იყო საყოველთაო არჩევნებისა, რომელიც დღეს თქვენ პროგრამა მინიმუმის უპირველეს მუხლად გიწერიათ. მათ დააარსეს დემოკრატიული რესპუბლიკა და რა გამოვიდა? ამ დემოკრატიულ რესპუბლიკამ მუშას პური ვერ მისცა და მშიმელს სამუშაო,—ვერც სოფელში, ვერც ქალაქში. სოციალისტი ლუი-ბლანი ეცადა პარიზში ეგრედ წოდებული საზოგადო სახელოსნოები შეექმნა, მაგრამ ამან კიდევ უარესი პროტესტი გამოიწვია ცოტა ხნის შემდეგ დამშეული ხალხის მხრივ და პარიზი ისევ აჯანყდა ახალი მთავრობის წინააღმდეგ. და რა ჰქნა ამ ახალმა მთავრობამ—15,000 კაცი მოჰკლა პარიზის ქუჩებში. დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 15,000 თავისი შვილი, მუშა, შეუბრალებლად დახოცა რამოდენიმე დღის განმავლობაში! და როდესაც ჰკითხეს ლედრიუ როლლენს,—რატომ დააყენეთო ესეთი საზიზღარი სისხლის მორეგებიო,—მან უპასუხა, მთავრობას ემუქრებიან, მას ნება ჰქონდა თავი დაეცვაო!—აი როგორი შედეგი მოჰყვება ხოლმე ხალხის შეცდომას, როდესაც იგი თავისი რევოლიუციის შემდეგ ბურჟუაზიულ, ან რომელიმე სხვა მთავრობასაც მიანდობს ხოლმე თავის ბედ-იღბალს! როდესაც იმავე 1848 წელს ხელმწიფეებს ბერლინში ,,პოლიტიკური თავისუფლების ელემენტარული საფუძველები'' აუწყა გამარჯვებულ ხალხს, ბურჟუაზია ტაშს უკრავდა, როგორც ეხლა ს.-დ—ია დაუკრავს ტაშს ბურჟუაზიული დემოკრატიის გამარჯვებას და თქვენც გიწვევსთ ამ სამარცხვინო საქმეზედ, მაგრამ იქვე ახლო მუშებიც იყო, და ერთმა მათგანმა გულ-მოსულად დაიყვირა: ხელმწიფემ არაფერი არ მოგვცა! რას მიჰქვიან ტაშის ცემა!—და როგორი გულწრფელი სიმართლე წარმოსთქვა ამ უბრალო შრომის შვილმა; მისი უბრალო სიტყვა—დიდ ისტორიულ სიმართლეს ნიშნავდა,—რევოლიუცია ჯერ არ იყო გათავებული, იგი იმ წერტილამდის იყო მისული, რომელიც ბურჟუაზია შეასკუბებდა ხალხის ზურგზედ, და ბურჟუაზიაც სცდილობდა შეეჩერებინა იგი, რაიცა მან დამტკიცა შემდეგ მთელი თავისი ცინიკური და გაიძვერული ღალატით.

მოიგონეთ აგრეთვე პარიზის კომუნა და ის როლი, რომელიც ბურჟუებმა ითამაშეს მის შინაგან ისტორიაში და მთავრობასთან დამოკიდებულობის ამბებში, 40,000 მკვდარი მუშა, ბურჟუაზიის მსხვერპლი, (მაშინ უკვე რესპუბლიკა იყო გამოცხადებული) და გაიგებთ, თუ რა საშინელებაა დღეს, რუსეთში, რევოლიუციის დროს, პროგრამმა მინიმუმების ჩმახვა სოციალისტების მხრივ. ყოველივე რევოლუციას ხალხი ახდენს, არა მწარმოებლები კი სარგებლობენ მითი; ჯერ ხალხთან არიან,—მერე ღალატით ათი ათასობით ჰხოცავენ მუშებს. ჯერ ხალხს ჰგონია, რომ განთავისუფლდა მონობისაგან,—ბრძოლის შემდეგ დაღლილი რომ გამოიფშვნეტს ხოლმე თვალებს,—გრძნობს, რომ რაღაც კიდევ დასწოლია თავზედ; იგი მძლავრად შეინძრევა ხოლმე და პირველად არც კი იცის, რაშია საქმე, რა არის ეს საშინელი ლოდი, რომელიც მან უკვე ვითომ გადმოიგდო და ეხლა კი ისევ აწევს საშინელი სიმძიმით. და იგი ცოტა ხნის დაკვირვების შემდეგ ხედავს, რომ მას ისევ შეპარვია სულთა ბუთაი მონობისა და აღრჩობს. მაგრამ ვეიან-

ლაა,—კიდევ აღიმართა ტახტი მონობამ მის ზურგზედ და ვინ იცის როდის გადმოიგდებს ამ ახალ აშენებულ მონობის ქვეყანას, თავისი შრომით მოხრილი ზურგიდამ!.. ასე იყო ხოლმე ყოველი დიდი რევოლიუციის დროს,—ტ მის მაგიერ რომ ვისარგებლოდ ჩვენ დიდ რევოლიუციაში წარსულ რევოლიუციათა ისტორიით,—ს.-დ—ები გეუბნებიან, —არა, სწორედ კასგკ უნდა მოიქცე ისე, როგორც შეცდომით მე-XVIII საუკუნის ბოლოში მოიქცა საფრანგეთის ხალხიო: პროლეტარიატი, განათავისუფლა ბურჟუაზიამ, მოახდინა რევოლიუცია, ამას ამბობს მეცნიერება, ცოდნა საზოგადოებრივ მოვლენათა და ცხოვრების რკინის კანონი... მარტოვებისა და პლეხანოვების პირითო! ამას ჩვენ „პროგრამაა მინიმუმს ვუწოდებთო!“

მაგრამ მერე?.. მერე პროლეტარიატი ისევ მშიერი და გაძარცული უნდა დარჩეს, მუდამ მებრძოლი და მუდამ დამარცხებული ბურჟუაზიის შეკავშირებული ძალის მაერ საუკუნეთა განმავლობაში; გლეხობა ისევ სიმშილის ტიფმა უნდა ამოსწყვიტოს, ბიუროკრატია ისევ უნდა ფარფაშობდეს; ომებმა ისევ ანადგურონ მილიონობით ხალხი და მილიარდობით მისი სიმდიდრე სადმე ჩინეთში ან ახლო საზღვარზედ; ერები ისევ ერთმანეთს უნდა გადაეკიდონ, თუ ცენტრალისტური რესპუბლიკა დაარსდა, როგორც ესა სწადიათ ს.-დ—ებს; სახელმწიფო და კაპიტალიზმი ისევ უნდა სწამლავდენ რუსეთსა და მთელ კაცობრიობას!.. მხოლოდ შეცვლილი სახელით, და „პოლიტიკურად თავისუფლებით“, რასაკვირველია, ე. ი. ლაპარაკის, წერის, კავშირისა და სხვ. თავისუფლებით!—ეს არის, ეს უნდა იყოს რევოლიუციის შედეგი? ამისთვის იხოცება ათასობით მუშა და გლეხი მთელი რუსეთის განუზომელ მინდვრებში და ქალაქის ქუჩებში უაზახების ტყვიით? ამისთვის „უფეშქაშებთ“ ბურჟუაზიას მთელ რევოლიუციას? ტ რისთვის, რა კეთილი დაგაყარათ, რა ღვაწლი მიუძღვის მას თქვენს წინაშე? არა, მუშებო! პროგრამმა მინიმუმი თქვენ შეიძლება სხვა რამე ბგონიათ, თორემ არა მგონია თქვენც ს.-დ-ებივით გულუხვი იყოთ ბურჟუაზიისათვის, რომ მას მთელი რევოლიუცია აჩუქოთ მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგ ისევ გძარცოსთ და გაწამოსთ, როგორც ამერიკისა, საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზია ეექცევა თავიანთ პროლეტარიატს — სადაც ჩვენებური ს.-დ—ების პროგრამმა მინიმუმი განხორციელებულია უკვე.

რევოლიუციის დროს პროგრამმა მინიმუმი წამოყენება პირდაპირ უაზრობაა (რაიც ძლიერ გამოიჩინეს მთელ რევოლიუციაში რუსეთის ს.-დ მა პარტიამ) და მხოლოდ ს.-დ-ის თავში თუ მომწიფდებოდა ეს მართლაც და ისტორიისაგან მომავალში დაუვიწყარი მაგალითი ადამიანის გონებრივი სიღატაკისა. პროგრამმა მინიმუმი მშვიდობიან დროს კიდევ წარმოსადგენია, როცა კანონიერი მოქმედებას ეწევა რომელიმე პარტია, მაგრამ რევოლიუციის წინ შემუშავება მინიმუმისა, რომ თვით რევოლიუციის ბრძოლაში იხელმძღვანელოს მითი ხალხმა, ან რევოლიუციის დროს მისი ქადაგება და განხორციელების ცდა,—ეს ისეთი აბსურდია, რომ მაზედ ლაპარაკიც არა ღირს, რომ ამასთანავე ისეთი დანაშაულიც არ იყოს, რომელიც საუკუნოდ მოსცხებს ჩირქს ყველა ჯიბის „მინიმალისტებს“.

ვის შეუძლია რევოლიუციის წინ იანგარიშოს, თუ როგორი სიძლიერის, როგორი სიდიადის იქმნება რევოლიუცია? ვის შეუძლია იანგარიშოს მისი მამოძრავებელი ძალები, ამ ძალითა მოძრაობა ისე, რომ შეიძლებოდეს წინასწარმეტყველობა, რევოლიუცია ამა და ამ დროს გაინვლის, რევოლიუცია ამა და ამ ადგილზედ გაჩერდება მისი ძალები ამა და ამ ოდნობის იქმნება და მოწინააღმდეგე ძალები კი აგრეთვე განსაზღვრული ოდნობისაო?—ჯერ არ ყოფილა ქვეყანაზედ იმისთანა „სოციალური მათემატიკისი“ [illegible] ენგარიშოს... გარდა მარტ[illegible] და პლეხანოვისა.

ვის შეუძლია აგრეთვე თ[illegible] ოლიუციის დროს შეაჩ[illegible] ათასნაირი უზარმაზარი ძალ[illegible] მლებიც ამოძრავდებიან [illegible] თვალ გადუწვდენელ საზოგადო[illegible] ზღვაში, და დანიშნულ დ[illegible] სთქვას ისუს ნავინივით: შეჩერ[illegible] ოლიუციავ? არავის, არც ერ[illegible] ტიის,—გარდა რეაქციისა, [illegible] ლიც სამკვდრო სასიკ[illegible] იბრძვის და რა თუ გინდათ გ[illegible] ბული გამოვიდეს ცალკე ბრ[illegible] დამ, მაინც თავის დღეში ა[illegible] დარწმუნებული, რომ გამარ[illegible] ლი დარჩა საუდამოდ. იგ[illegible] ლოდ იბრძვის, და როდესაც [illegible] ლიად გვისრულდება ხოლმე [illegible] მაშინ არი შესაძლებელი ნამ[illegible] შედეგების გათვალისწინება.

რევოლიუციის დროს მხო[illegible] ერთი რამ არ უნდა ავიწყდებოდ[illegible] ოლიუციონერ სოციალისტს: [illegible] ყოველივე პარტიის ხასიათი [illegible] საზღვრება მითი თუ რომელ [illegible] გადამბრივ, ეკონომიურ და პ[illegible] ტიკურ დაწესებულებათ ებრძვის [illegible] სოციალისტი კი წინააღმდეგი [illegible] იყოს ყველა თანამედროვე ეკ[illegible] მიურ და პოლიტიკურ მონობას [illegible] წესებულებათა. და ნამდვილი [illegible] ოლიუციონერ მართლაც ებრძვის [illegible]

ფელეტონი

—

მოკლე სისტემა ანარქიზმისა

(ე. მალატესტა)

თარგმანი.

(გაგრძელება) *)

საუბარი მეოთხე

II

ამბრუაზ. (სასამართლოს თავმჯდომარე) ძალიან გამეხარდა თქვენი ნახვა, ბატონო პროსპერ, სურვილიც მაქს თქვენთან ლაპარაკისა. იმ საღამოს, თქვენ რომ ბაასობდით იმ სულელს მიშელთან, მე არ მინდოდა ჩავრეოდი საუბარში. მაგრამ, ჩემო კარგო, საოცარი ჩვეულება გაქვთ ხოლმე, საკუთარი რწმენის დაცვაში ადამიანი იფიქრებდა თითქოს თქვენც ანარქისტი იყოთ.

ბრასპერ. ნუ თუ! საიდამ სჩანს?

ამბრუაზ. იმიტომ რომ, თქვენ უმეტესათ ამყარებდით თქვენ აზრს, იმაზედ რომ, თანამედროვე სოციალური წყობილება აშენებულია ძალაზე; ასეთი ლაპარაკით თითქმის დაეთანხმეთ თქვენ იმათ, რომელთაც ჰსურთ არსებული წესწყობილება ძალით დანგრიონ. და უმაღლესი პრინციპები, რომლებიც განაგებენ განათლებულ საზოგადოებებს—უფლება, ზნეობა და სარწმუნოებაა—თქვენ ამათ ყურადღებას არ აქცევთ!

ბრასპერ. დიაღ, ცხადია, თქვენ ყოველთვის პირველ გეგმაზე უმაღლესი პრინციპები გაქვთ დაყენებული—პროფესია გავალებთ. მაგრამ... რომ ხვალ მთავრობამ, დაკანონოს კოლლეკტივიზმი, თქვენ ისეთი სიადვილით შეუდგებით კერძო საკუთრების დამცველთა შეპყრობას, და გაამსებთ საპყრობილეებს, როგორც ეხლა სდევნით ანარქისტებს, და ეს ყველა საუკუნოთ შეურყეველი, უფლების, უმაღლეს პრინციპების მეოხებითაა. ჩვენ მხოლოდ სხვა და სხვა სახელწოდებას უწოდებთ საგნებს: თქვენ ამბობთ—უფლება; მე ვამბობ—ძალა. მაგრამ ბოლოს კი გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენ მამაცთ—ჟანდარმებს, და მართალი იქნება ყოველთვის, ის, ვის მხარეზედაც ისინი იქნებიან.

ამბრუაზ. კმარა ბატონო პროსპერ, საკვირველია, როგორ გიყვართ თქვენ სოფიზმების ხმარება. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა უსიამოვნო მთაბეჭდილებას ახდენს, როდესაც ხედავ, რომ ისეთი ადამიანი,—როგორიც თქვენ,—ერთი საუკეთესო კაცთაგანი, საუბარს ეწევა წესიერების ბოროტ მტრებთან. დამიჯერეთ, უკეთესია დავტოვოთ ასეთი ცუდი ჩვეულება ბაასობისა და შეუთანხმებლობისა, განსაკუთრებით სახალხოდ; ჩვენ უნდა შევეკავშირდეთ, რომ თანასწორათ დავიცვათ არსებული წყობილება, რომელიც იწყებს რყევას წარმოშობილ სოციალურ მოძრაობის მეოხებით... უნდა დავიცვათ თავისი ინტერესები, რომელსაც მოელის საშინელი განსაცდელი.

ბრასპერ. დიაღ, საჭიროა შეკავშირება, და ენერგიული ზომებიც, რომ მალე მოვსპოთ ლიბერალურ-დოკტრინერობა. ისე ვერაფერს მივაღწევთ.

ამბრუაზ. რასაკვირველია საჭიროა სასტიკი კანონები და ზომები, მაგრამ მარტო ეს არ კმარა; დამყარება ხხოლოდ ვერაგ ძალაზე შეუძლებელია, რომ დიდხანს შეაჩერო გამოღვიძებული ხალხი მორჩილებაში. პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა პროპაგანდა და ზრუნვა ხალხის ჩასაგონებლათ, რომ ჩვენს ქვეყანაში სრული სამართალია.

ბრასპერ. ძნელი წარმოსადგენია ამაზედ მეტი დამღუპველი გამოურკვევლობა,—ჩემო მეგობარო, ჩვენ საერთო ინტერესებისათვის საჭიროა გვერდი აუზვიოთ პროპაგანდას! ეს — მოქმედება ძლიერ საშიშარია; თითქმის კონსერვატორების ხელში თქვენი პროპაგანდა გაუწევს სამსახურს მხოლოდ სოციალისტებს, ანარქისტებს და მაგნაირ ხალხს. წადი ახლა, და დაარწმუნეთ მშიერი ადამიანი, რომ სრულებით სამართლიანია, რომ ის მშიერია, განსაკუთრებით, თუ ის ქმნის იმ საგნებს, რომელნიც მას აკლია. ვიდრე მის აზრში არ დამკვიდრებულა ამხაირი შეგნება, ის კიდევ მიღლობს ღმერ[illegible] და პატრონსაც, რომ საქმე მა[illegible] და მაინც კიდევ ცუდად არ ა[illegible] და ესეც საკმარისია. მხოლოდ [illegible] დროიდგან, როდესაც მან დაიწ[illegible] აზროვნება ტ განხილვა თავის მდგ[illegible] მარეობისა, ძაშინ იგი ხდება დ[illegible] ძინებელ მტრად. დიაღ უნდა [illegible] დავანებოთ პროპაგანდას, უმჯო[illegible] სია ბეკდვითი სიტყვით ზრუნვა, [illegible] უხედავად იმისა, კანონიერია ეს [illegible] უკანონო.

ბრასპ. შეიძლება თქვენ მართ[illegible] ლიცა ხართ.

ბრასპერ. უნდა დავხუროთ ყ[illegible] ლივე მათი კავშირები, გავფანტ[illegible] კრებები, გადავასახლოთ ყველა ე[illegible] ჰფიქრობს...

ცესარ. მძიმეთ, მძიმეთ! არ [illegible] და ასეთი გაცხარება; გაიხსენეთ გ[illegible] სხვა-და-სხვა ქვეყნის მთავრობებ[illegible] რომელნიც არა ერთხელ მოქცე[illegible] ლან თქვეხსავით... მაგრამ ამით ძ[illegible] ლოდ დაჩქარეს თავისი დაცემა.

ამბრუაზ. (ფაბრიკანტი) ჩუმად! [illegible] მიშელიც მოდის და ანარქისტ[illegible] როდესაც დავატუსაღე მე ეძ[illegible] თვით, ძთავრობის საწინააღმდეგ[illegible] მოწოდებისათვის. ჩვენ შორ[illegible] იყოს ეს ნათქვამი და ძოწოდება [illegible] იხ და მაინც არ იყო კანონის წ[illegible] ნააღმდეგი, მაგრამ ძას ეძრნეოდა [illegible] წინააღმდეგო განზრახვა. გესმის! [illegible] ზოგადოებამ უნდა დაიფაროს თავ[illegible] სი თავი...

მიშელ. გამარჯობათ, ბატონებ[illegible]

*) იხ. გაზ. „მუშა“, № 8.

რეოლიუცია უარ-ყოფაა სახელმწიფოსი და კერძო საკუთრებისა. მონა გლეხს ქარხანა მუშას, სრული თავისუფლება ყველას, აი რა არის ნამდვილი შინაარსი რევოლიუციისა, და ვინც ამ ფარგალში მოქმედობს, ვინც სწორედ ამ მხრით, ეხმარება მას, ის არის ნამდვილი რევოლიუციონერი, ვინც კი ჩამონაკრებსა, 8 საათის სამუშაო დღეს, დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ამგვარებს სჯერდება, ის რევოლიუციის შემაჩერებელი და მოწინააღმდეგე ძალა, ის პროგრამმა მინიმუმის კაცია და პროლეტარიატის მრჩეველი,—ბურჟუაზიას რევოლიუცია აჩუქეს! ამ უკანასკნელი ჯურის კაცებია, მუშებო, თქვენ ხელმძღვანელი ს.-დ.—ები,—და მიტომ ვართ დღეს მათი მოწინააღმდეგენი და მიტომ ვანებებთ ხოლმე ხშირათ თქვენ საყვედურს.

მათ რომ ჰკითხოთ, სხვანაირად მოქმედება არ შეიძლება და უსარგებლოა,—მაგრამ ჩვენ არა ვართ მათი აზრის; ჩვენთვის არის რევოლიუცია, ან არ-არის. თუ არ არის,—ამზადე იგი, თუ არის განავითარე და გააფართოვე იგი, ებრძოლე ყველა თანამედროვე დაწესებულებათა და მოსპე იგინი, რამოდენაც შეგიძლია, რომ გზა გაუწმინდო კომუნიზმსა და ანაქიას. მათი პროგრამმა მინიმუმის მაგივრად, ჩვენ „მაქსიმუმი“ გვაქვს ყველგან და ყოველთვის, პროგრამმა ნამდვილი შინაარსიანი ბრძოლისა, რომელიც მთელი თანამედროვე მონობის დაქცევაში უნდა გამოიხატოს!

ამაზედ შემდეგ ვილაპარაკოთ.

Bâton.

(შემდეგი იქნება).

ბრალსა ვსდებ.

ბრალსა ვსდებ, რომ სოც.-დემოკრატიული პარტია არის მომხრე და დამცველი: მთავრობის, სახელმწიფოის, დისციპლინის, უაზარმული სათნოების, გამრყვნელი კანონის, ბურჟუაზიული რეჟიმის, მარქსიზმის ეკონომიური მონიზმის ანუ სოციალური კითხვის კუქის კითხვათ გადაქცევის, ცენტრალისტურ სახელმწიფოებრივობის, პარლამენტარულ ბიუროკრატიზმის. ყველა ამასთან ერთად ვაბრალებ, რომ სოციალდემოკრატიულმა პარტიამ ჩაიდინა მუშების წინაშე „პოდლოგი“, რომლითაც მუშებს ნელ-ნელა გამოაცალა ხელიდგან სოციალისტური, ნამდვილი პროლეტარული იდეები და მისწრაფებანი, რითაც მან ჩაიდინა გონებრივი მცარცველობა, ე. ი. დაასახიჩრა, რამოდენადაც კი შესძლო, პროლეტარიატის მიზნები და შეაჩერა პროლეტარიატის სოციალისტური განვითარების მსვლელობა.

რომ სოციალ-დემოკრატია ანტი-სოციალისტური პარტიაა, რომ სოციალ-დემოკრატიის გაბატონების შემდეგ პროლეტარიატს კიდევ დასჭირდება ბრძოლის ხელახლა დაწყება.

ამიტომ ვიწვევ სოც.-დემოკრატიის მეთაურებს, იდეოლოგებს ისეთებს, რომლებსაც შესწევს წელი გაამათილოს ჩვენი თეზისები მათ წინააღმდეგ მიმართული, რადგან ჩვენ მხრით კარგა ხანია მას აქეთ, რაც „ნობათში“, „ხმაში“ და „მუშაში“ დავიწყეთ თქვენ ტეზისების მტკიცება, რომლებზედაც პასუხი არ მიგვიღია.

რომ „ლამპრის“ № 43-ში მოთავსებულია ჯაშუშური წერილები და მაშასადამე ის რედაქცია, რომელმაც მოათავსა ამ გვარი წერილი სავსებით. in corpore შეგნებულად ან შეუგნებლად ჯაშუშებისაგან შესდგებიან.

კორრესპონდენცია.

ჭიათურა. 14 ივნისი. შავა-ქვის მწარმოებელთა მესაკუთრეთა და მოჯარადრეთა უკანასკნელმა კრებაზე კანონიერად სცხო სუხოგადად ჭიათურის მუშების მოთხოვნილებანი და მიიღო შემდეგი: დაწესხა რვა-საათის სამუშაო დღე, ადრანდელ დღიურ ქირას შეამატონ თითო აბაზი და ვაკონების დამტვირთველთ დანაშნონ დღიურად ორი მანეთი. ასე მოუწყოს საქმე ამ შემთხვევაში, თუ ექსპარტორები მასცემენ მოჯარადრეებს, საზოგადოდ წარმოებებს, ორი კაპეიკით მეტს ადრინდელ ფასებთან შედარებით. ამან გამოიწვია მწკავე კამათი. ერთმა ს.-დ.—მა განაცხადა: თქვენ, მოწარმოებლები, დიდ მწარმოებლებისგან ბევრს თხოულობთო, ისენი ორ კაპეკს ფუთზე ვერ მოგიმატებენ და მაშინ ხომ მუშების მოთხოვნილებანიც ვერ დაკმაყოფილდებაო. საზოგადოდ ეტყობოდა მუშების მხრივ ტენდენცია, რომ მათ ჰქონდეთ საქმე ექსპარტორებთან პირ-და-პირ და არა მოჯარადრების საშუალებით.

რუსეთის ქრონიკა

17 მაისიდგან დაწყებული ყოველ დღე გამოდის ორგანო პოლონელ სოციალისტთა „Работникъ“ და იყიდება ლეგალურ გამოცემასთან ერთათ, რაც ამტკიცებს სისუსტეს სამხედრო წესებისას.

—

ბელოსტოკის „პოგრომის“ გამო პოლონური სოციალისტური პარტია ენერგიულად შეუდგა ზომების გამონახვას თავიდგან ასაცდენათ და ძირითად მოსასპობად ამ გვარ ხოგთხოვთ გაიცნოთ ჩემი მეგობარი ანარქისტი, რომელიც სიამოვნებით გამოეკამათება ბატონ პროსპერს, წარსულ საღამოს დაწყებულ ტემაზედ.

პროსპერ. რის კამათი? ვიბაასოთ ისე მეგობრულად დროს გასატარებლად. თქვენ კი გსურთ აგვიხსნათ ჩვენ, რა არის ანარქიზმი, რომლის გამორკვევა და შეთვისება ჩვენ არ ძალ გვიძს.

გეორგ. (სოციალისტ-ანარქისტი). მე ანარქიზმის პროფესსორი არა ვარ და არც ვაპირებ ლექციების წაკითხვას, მე მხოლოდ ძალმიძს ჩემი რწმენა დავიცვა (მოუბრუნდა მცირე სახით ამბრაუზს, სასამართლოს თავჯდომარეს) რაც შეგეხებათ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ უფრო დაახლოებით უნდა იცნობდეთ ამ საგანს, ვიდრე მე; ვინაიდგან ბევრი ანარქისტები ჩაგისვამთ საპყრობილეში! და რადგან თქვენ პატიოსანი კაცი ბრძანდებით, ცხადია, სანამ მიუსაჯავდეთ ვინმეს სასჯელს, რომელიმე მოძღვრებისათვის, პირველად ძირითად გაცხობით მას.

ტეზარ. პირადობას თავი დავანებოთ. ჩვენ გვინდა დაახლოებით გაცნობა ანარქიზმისა. ჩემის მხრით უნდა მოგახსენოთ აწინდელი მდგომარეობა ცუდად არის, და აუცილებლად საჭიროა გაუმჯობესება. მხოლოდ არ არის საჭირო აუსრულებელი ოცნებობა, განნაკუთრებით არ არის საჭირო ძალადობა. თავის თავად ცხადია, რომ მთავრობამ უნდა იზრუნოს მუშათა, გაუმჯობესებისათვის უნდა გააჩაღოს მრეწველობა, ასწიოს, ვაჭრობა მაგრამ...

გეორგ. რამდენი საქმეები უნდა აჭიდოთ ბოროტ მთავრობას! უბედურება ისაა, რომ მთავრობის ინტერესები არ ეთანხმება მუშათა ინტერესებს ეს ცხადია.

ტეზარ. როგორაა ეს ცხადი? მართალია, მთავრობას არ შემოჰქონდა აქნამდი არავითარი სოციალური რეფორმები, მაგრამ მომავალში, განათლებული და უფრო ნიჭიერი მინისტრები შემოიტანებენ.

გეორგ. ბოროტება მინისტრებისაგან კი არ არის დამოკიდებული, არამედ საზოგადოდ მთავრობისაგან როგორიც უნდა იყოს ის. ეხლანდელი, წარსული თუ გინდ მომავალი. ყოველივე მთავრობა აღმოცენებულია საკუთრებაზე და შესდგებიან მისს წარმომადგენლებისაგან. და აბა როგორ შეუძლია მას მუშათა ინტერესების დაცვა? მეორეს მხრით თუ გინდ მთავრობამ მოინდომოს გარდაწყვეტა სოციალურ საკითხებისა, იმას მაინც არ ძალუძს, რახან ამ საკითხის გარდაწყვეტა დამოკიდებულია საზოგადო მიზეზებისაგან, რომლის მოსპობა მთავრობის მხრივ შეუძლებელია, რახან თვითონ არის ამ მიზეზებისა სათავე და აძლევს იმ ფორმას, როგორიც (მიზეზებს) იგი გამოხატულია, სოციალური საკითხის გარდასაწყვეტად, აუცილებლად საჭიროა ყოველ სისტემის ძირიანად შეცვლა, რომლის მფარველადაც გამოდის სახელმწიფოს დანიშნულება. თქვენ ლაპარაკობთ,—მიეცეს მუშებს სამუშაო? მაგრამ რას იზამს მთავრობა თუ კი არ არას სამუშაო? არავინ არ დაიწყებს ისეთ წარმოებას, რომელიც საჭირო არ არის; და რომ დაიწყოს ვინ გადაუხდის ნაშრომს? იმას შეუძლია აიძულოს კაპიტალისტები რომ აწარმოვონ ის, რასაც საჭიროებს ხალხი, ეს იქნება ძალადობით ჩამორთმევა კერძო საკუთრებისა მფლობელთაგან, და რომ მთავრობამ მისცეს აუცილებელი, ნაყოფები, უნდა მიითვისოს უფლებები, ბიწის და კაპიტალის გამგეობისა, რომლებიც ეკუთვნიან მფლობელთ. ეს იქნება სოციალური რევოლუცია, უკანასკნელი ანგარიში წარსულთან, და თქვენც გესმით რომ, სანამ ამას თვით მუშა ხალხი არ მოინდომებს, ცხადია მაგას მთავრობა ვერ იკისრებს და არ დაგვეთანხმება.

თქვენ ამბობთ,—ვაჭრობის და მრეწველობის გაფართოვებას! მთავრობას შეუძლია ხმოლოდ ერთ გვარი მრეწველობის გაფართოვება, მეორეს საზიანოდ, ერთ ადგილზე ვაჭრობის გამაგრება და ხელის შეწყობა მეორეს საზიანოდ, ბოლოს, ამ ნამდვილ და უმართლო პატივის ცემას მიყვებარ მხოლოდ ზედმეტ ზარალში, ისე რომ არ გვაძლევს ნამდვილ რეზულტატს. მთავრობა, ვითომდა მფარველი იყოს ყველასი,—ეს სიცრუეა, რახან თვითონ არაფერს არ აწარმოებს, და არ ქმნის, მხოლოდ შეუძლია სხვისი ნაწარმოების ადგილის გამოცვლა.

ტეზარ. თუ მთავრობას არ უნდა და არც შეუძლია არაფრის გაკეთება, სად არის მაშ ამ მდგომარეობისაგან გამოსავალი? თქვენ რომ რევოლიუცია შეასრულოთ, შემდეგ ამოირჩევთ სხვა მთავრობას? რახან ყოველი მთავრობა ერთნაირია, მაშ რევოლიუციის შემდეგ ჩვენ ვიქნებით ისე როგორც მანამდი?

გეორგ. სახელდობ, მიტომ არ გვინდა ჩვენ არავითარი მთავრობა, და სწორეთ ანარქიზმიც ისეთი მოძღვრებაა—სადაც საზოგადოება უმთავრობოთ იქმნება.

ტეზარ. ეს კი შეუძლებელია. როგორ შეიძლება მაშინ ცხოვრება? რა დაემართებათ მაშინ კანონებს და ანვიხ დაემორჩილება იმათ?

გეორგ. მე ვხედავ რომ სრულებით წარმოდგენაც არა გაქვთ იმაზე, რომ ჩვენ მივაღწევთ. მხოლოდ რომ არ დავკარგოთ დრო, დაგვაცადეთ, მე გარდმოგცემთ თქვენ მოკლეთ მაგრამ შემდეგობით ჩვენს პროგრამმას და მერმეთ თქვენ წარმოადგინეთ პასუხი. ეხლა კი თითქმის გვიანიც არის, გარდავდეკთ შემდეგისთვინ.

კოწია ჯუბაბრია.

(შემდეგი იქნება).

ცვა-ელეტისა პოლუშაში. სხვათა შორის გამოსცა 200,000 ეგზემპლიარი პროკლამაცია ცენტრალურ კომიტეტის სახელით (ბ. ბ. ს.).

—

ცარსკოე-სელოში, ამას წინად სამმა ბატარეიამ 23 არტილერიის ბრიგადისა არ უპასუხა უფროსს სალამზედ, და როდესაც ეს უკანასკნელი შეეკითხა მიზეზზედ—ჯარის კაცნი დაიშალნენ ჩუმად.

—

რადგანაც ამ ბოლო დროს ხშირ-ხშირად ლაპარაკობენ გაზეთებში რკინის გზების მოსამსახურეთა გაფიცვაზედ—რაიონის კომიტეტმა უ. დ. ს. დ. ორგანიზაციებისა თავის უკანასკნელ სხდომაზედ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: რადგანაც კარგათ ვიცით, შეგნებული მუშები და მოსამსახურენი რკინის გზებზედ სერიოზულათ ეკიდებიან ყოველ ამ გვარ გალაშქრებას და ეხლა მთელ რუსეთის პროლეტარიატთან ერთად იკრეფავს ძალას მომავალ პოლიტიკურ ბრძოლისათვის, ამიტომ ორგანიზაცია რ. კ. ე. დ. ს. დ. სთვლის ყოველ ამგვარ ამბებს პროვოკატორულ ამბებათ და აცხადებს რწმენას, რომ მუშები და მოსამსახურენი ჯეროვან ყურადღებას შიაქცევენ ამ პროვოკატორულ ხმებს და მით დაანგრევენ მთავრობის პლანებს არსებულ მთავრობისას, რომელსაც უნდა გამოიწვიოს კერძო ამბოხებანი ან გაფიცვები, მათ სიხლში გათელვით შეიტანოს არევ-დარეულობა მუშათა წრეებში და მითი შეაფერხოს ძლევამოსილი წინსვლა რევოლიუციისა.

—

პეტერბურგში ვიბორგის მხარეზედ მუშებმა გაჰმართეს მიტინგი, რომელსაც დაესწრო 1000 კაცი. მიტინგის შემდეგ მუშებმა ააფრიალეს ორი წითელი დროშა, და სიმღერით შევიდნენ ქალაქში.

—

ერთი ჯგუფი პუტილოვის ქარხანისა, წასულან სასეირნოთ მინდორში. ამ დროს საინდგანლაც გამოჩნდნენ ყაზახები, რომელთაც მათრახებით უცემიათ იგინი.

—

9 ივნისს პეტერბურგში მუშებმა გამართეს მიტინგი, რომელზედაც დაესწრენ 1,500 კაცი. ილაპარაკეს სახელმწიფო საბჭოზედ. დაბრუნების დროს გაიყვნენ ორ ნაწილად. მცირე ნაწილი მათი წავიდა ბეზბოროდკინის პროსპ.; შეხვდა ყაზახებს და გოროდოვოებს. „თქვენ ჩვენ გვცემთ?“—ჰკითხეს მუშებმა. —„არა ამხანაგებო“,—უპასუხეს ყაზახებმა. მუშებმა „ურა“ს შესძახეს. ყაზახები ქუდებს ჰაერში აგდებენენ და ურას იძახოდნენ. რევოლუციონური სიმღერით მუშები მივიდნენ ახალ არსენალამდის. ყაზახები უკან მიდიოდნენ.

—

10 ივნისს პეტერბურგში პოლიციამ მთელი ურემი აევსო „წართმეულ გაზეთების ნომრებით „გოლოს“ და „ტრუდოვაია როსსია“ და გაძლიერებულ დაცვის ქვეშ ვინტოვკებით შეიარაღებულ გოროდოვოებისა გაემართა პოლიციის ნაწილისაკენ. მეგზეთეების ჯგუფი დახვდა მათ სტვენით და ყვირილით პოლიციამდის. გაზეთები გამოსტაცეს პოლიციას ხელიდგან. მეგზეთეებმა „გოლოსისა“ და „ტრუდოვოა როსიისა“ გააკეთეს ,,ჯოხებზედ და წითელი დროშებით, გაემართნენ სტამბისკენ, აქ მათ მოემატნენ სხვებიც და დაიწყეს რევოლუციონურ სიმღერების მღერა.

მთელი პეტერბურგის რაიონი 60 ვერსის მიდამოზედ მოცულია პურის მცხობელთა გაფიცვებით, ისე რომ აგარაკები კრიტიკულ მდგომარეობაში არიან.

—

საზოგადოდ დიდი მოძრაობაა მთელ რუსეთში პროფესიონალურ კავშირების დაარსებებისათვის. ყველა დარგის მუშები კავშირდებიან ორგანიზაციებში, რათა მზად იყვნენ ძმური სოლიდარობა გამოიჩინონ მომავალ ბრძოლისათვის,

უცხოეთი.

გერმანია. მეტალურგიულ წარმოების მუშათა კავშირიდან გამოვიდა რვა-ასამდე მუშა, რადგანაც არ თანაუგრძნობდენ ამ კავშირის ტაქტიკას მწარმოებლებთან შეტაკების დროს. ეს მუშები ანარქიზმის მიმდევარნი აღმოჩნდნენ და ამიტომ ახალი ორგანიზაცია შეადგინეს. ეს ახალი ორგანიზაცია არ არის თანახმა არამც თუ სოციალ-დემოკრატიულ ტაქტიკისა, არამედ არ არის თანახმა აგრეთვე იმ ეგრედ წოდებულ ანარქო-სოციალისტების ჯგუფისა, რომელიც რიცხვით 3,000-მდე ერთი წლის წინად გამოცალკევდა სოციალ-დემოკრატიულ მუშების კავშირებიდან. (რუს. ვედ.)

—

ერთი ბერლინის ანარქისტების გაზეთი სწერს შემდეგს მადრიდში მატეო მორალისაგან ყუმბარის სროლის შესახებ: პასუხის მგებელი და დამნაშავე ყველა მისთანა მოქმედებისათვის, როგორც მოხდა მადრიდში, არის მხოლოთ და მარტო თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილება... ანარქიზმის იდეას არა აქვს საქმე ამისთანა მოქმედებასთან... დღევანდელი საზოგადოება არის დანაშაულობის ორგანიზაცია, ის წარმოშობს ხოლმე ყველა დანაშაულებს. აბა შეხედეთ, თუ იმისაგან არ გამომდინარეობს: ორგანიზაციული ათასობით ხოცა-ჟლეტა ომიანობის, ორგანიზაციული პროსტიტუცია, როგორც ქუჩისა ისე ოჯახისა, ორგანიზაციული ქურდობა კერძო საკუთრების წყალობით, ორგანიზაციული მონობა სამუშაო დღიური ფასის შემწეობით—და კიდევ განცვიფრებულნი არიან იმ სიკვდილის გამო, რომელსაც სჩადის თვითოეული, მიკვირსთ რომ ხდება კერძო პირთაგან ქურდობა. კერძო დანაშაულობა არის შედეგ, კაპიტალისტურ წეს-წყობილებისა. ამიტომ მარეო მარალისში ჩვენ დანაშაულათ სრულიათაც არა ვსთვლით.

ჩვენ ვამბობთ, რომ თვით არის მსხვერპლი და ვაცხადებთ ჩვენ ღრმა მწუხარებას მის სიკვდილის გამო; ვწუხართ აგრეთვე ძრიელ მის მოქმედებით მრავალ დახოცილებისგამო“

ახალი ამბავი

— ხონიდგან გვატყობინებენ შემდეგ ამბავს დღეს ერთმა ახალგაზდა ვაჭარმა (რომელიც ს. დემოკრატობს) გადაუყარა წყალშიდ გაზეთის დამტარებელს ბავშვებს გაზეთი „მუშა“ რისთვისაც. ერთმა უფრო შეგნებულმა ს. დ. გაიცხა.

— როგორც გაზ. „შრომას“ დეპეშით ატყობინებენ, თავჯდომარეს მურომცევს მოწვეულია პეტერგოფში აბალსა მინისტრის შესადგენად.

— 16 ივნისს თბილისის საოლქო სამხედრო სასამართლოში დანიშნული იყო გენერალი რატინსკის თავმჯდომარეობით საქმე სპარსეთის ქვეშევრდომის სახლი—ალი შიფალიოღლის და არეშის მაზრის ელისავეტპოლის გუბერნიის გლეხების ახმედ-მუსტაფა-ოღლის, სამედ-ისმაილოღლის და მახმედ-ლატიფ-ოღლის. მე-13 და 1634 მუხლის ძალით.

ამათ ბრალდებათ ელისავეტოპოლის გუბერნიის მცხოვრებელს, მემამულეზე თავს დასხვა და დაჭრა, პოლიციის შეიარაღებული წინააღმდეგობა და სასიკვდილოთ გამეტება.

— სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა სახელი ალი შიფალოღლის და ახმედ მუსტაფა-ოღლის; დანარჩენი სამი გაამართლა.

— გუშინ 17 ივნისს კრება ჰქონდა უსაქმოთ დარჩენილს ინტელიგენტებს. კრებაზე წამოყენებული იყო საკითხი უსაქმოთ დარჩენილ ინტელიგენტებს, როგორი კავშირი უნდა ჰქონდეს ასეთსავე მდგომარეობაში მყოფ მუშების ორგანიზაციებთან და როგორ მოაწყონ თავიანთი ორგანიზაცია.

— 16 ივნისს გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით შეაჩერეს გაზეთი „გვოდ“ რედაქტორ-გამომცემელს საგენერალ გუბერნატორო-დან აგზავნიან.

სტამბა „გუტენბერგი“ ეს გაზეთი იბეჭდებოდა ... ამავე სტამბაში იბეჭდებოდა „კაიწი“ და „გოლოს ...

დეპეშები

(პეტერბურგის საგენტო ...)

კიევი. ნიკე გოროდის ... აღმოაჩინეს ყუმბარების სახ... შეპყრობილია 9 კაცი. სტ... ქუჩაზე მუსულმანების სასა... აღმოაჩინეს 1500 ტყვიები ... ლოს პატრონი დატუსაღებ...

ნოვოჩერკასკი. ექვსი ... რაღებული კაცი თავს დაეს... ბენკოს სტამბას გაიტაცეს 7 ... შრიფტი და მიიმალნენ.

როსტოვი—დან. დონის ... ბის კამანდა და ემილიანოვის ... ლების ფაბრიკის მუშები გაიფ...

რიგა. რამოდენიმე ფაბრ... მუშები გაფიცულია.

ბარისოვი. გუბერნატორ... მოაცხადა. რომ ის პირები რ... ბიც, სარევოლიუციო მიზნის... მოკრეფენ ფულებს, ან და ... ფულის მიმცემი იძულებით ... ბაყოფლობით გარდაიხდიან, ... ველნი სამხედრო სასამართლოს ... დაეცემა, და მეორენი ე. ი. ... გარდამხდელნი, დატუსაღებულ ... მნებიან.

ვლადიკავკაკი. ჯარში ... მღელვარების გამო გენერალ-გუ... ნატორი შუამდგომლობს ჯარის ... ლაზე, რომელიც იმყოფებოდა ... ზაფხულოთ კავკაკში.

ვარშავა. ყუმბარის აფეთ... პრაგაში დაიჭრა ენდარმის ... კოვნი. ... მორადოვი და მასთან ... ფი ენდარმიც აგრეთვე დაჭრ... მეეტლე. დამნაშავე მიიმალა.

დღეს დილით ციტადელში სა... რო სასამართლოს მიერ გლეხ... პავაი ჩამოხრჩობაში, რომელ... ბრალდებოდა მკვლელობა, აღ... ლებულ იქმნა დადგენილება.

ეკატერინოდარი. სამთო ... ხნების რამდენიმე მუშა გაიფ... მიზეზათ ასახელებენ უდრო ანგა... შის მიცემას და სამუშაო დღის ... დიდებას. მშვიდობიანი გაფ... მიმდინარეობს.

—

რედაქტორ-გამომცემელი

მიხეილ ლიასავი

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.